რძე და თაფლი

რუპი კაური

ნიუ-იორკ თაიმსის ბესტსელერი №1

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

რუპი კაური

გამომცემლობა პალიტრა L

Scanned by CamScanner

მკლავებს
რომლებიც
მიჭერენ

Scanned by CamScanner

წუხელ საკუთარი გულის
ტირილმა გამაღვიძა
გამაგებინე რით გიშველო შევემუდარე
წიგნი დაწერე

Scanned by CamScanner

სარჩევი

ტკენა 9

სიყვარული 43

მსხვრევა 79

გამთელება 145

Scanned by CamScanner

ტკენა

Scanned by CamScanner

რუპი კაური

ასე იოლი რადაა შენთვის
კარგად მოექცე ადამიანებს მკითხა მან
ერთხელ

ჩამომეღვენთა რძე და თაფლი
ბაგეებიდან
როცა მივუგე

რადგან არასდროს მომქცევია
არავინ კარგად

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

პირველმა ბიჭმა რო მაკოცა
დაბლა დახარა ჩემი მხრები
როგორც საჭე ველოსიპედის
სულ პირველად რომ გაატარა
ხუთის ვიყავი

მის ტუჩებს ჰქონდა სუნი შიმშილის
რომელიც ერგო მამისაგან
დილის ოთხზე
დედამისით რომ ნადიმობდა

იგი პირველი ბიჭი იყო
ვინც ჩამაგონა
რომ უპოვართა საზრდო არის ჩემი სხეული
ვინც მომითხოვს მას უნდა ვერგო
რადგან ვერასდროს ვეღირსები სრულყოფილებას

და ღმერთო ჩემო
რად მაგრძნობინე მეც ისეთი სიცარიელე
როგორსაც გრძნობდა დედამისი
გამთენიისას ოთხ საათსა და ოცდახუთზე

Scanned by CamScanner



შენ
გასწავლიდნენ
რომ შენი ფეხები
ერთი ღამის სასტუმროა იმ კაცებისთვის
გზაში ილაჯი რომ გაუწყდათ და მოიცელნენ
ცარიელი ოთახივით მუდამ მზად მყოფი
უცხო სტუმრების მისაღებად
მაგრამ მასში არავინ შედის
და დარჩენაც არ სურს
არავის

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ჩემს ვენებში რომ გზას მიიკვლევს
შენი სისხლია
მითხარი შენი დავიწყება
როგორღა შევძლო

Scanned by CamScanner

რუპი კაური

ფსიქოთერაპიის კაბინეტი
თოჯინა კი წინ რომ დაგისვეს
იმ გოგოებისოდენაა
ბიძები რომ ეხებიან სიამოვნებით

თითი დაადე სად გეხებოდა...

შენც თითს ადებ
მას ფეხებს შორის
სადაც ისე გიტრიალა ბიძამ თითები
როგორც სულში აღსარებისას

თავს როგორ გრძნობ

ყელში გაჩრილ ბურთს ექაჩები
თითქოს კბილებით
ამბობ კარგად ვარ
აი დავმუნჯდი

– შუა კვირის სეანსები

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

სწორედ ის უნდა ყოფილიყო
პირველი მამრი სიყვარული შენ ცხოვრების
და ჯერ კიდევ
მას ეძებ ყველგან

– მამა

Scanned by CamScanner

ჩემი ხმის ისე გეშინოდა
მეც გადავწყვიტე
მისი შიში
გულში ჩამედო

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ის იყო ვარდი
ამოსული ისეთ ადგილას
სადაც გულშიც არ გაუვლიათ
გაფრთხილებოდნენ

Scanned by CamScanner

ყოველთვის როცა
შენს გოგონას ეუბნები
რომ თუ უყვირი
მიზეზი მხოლოდ სიყვარულია
შენ მას ასწავლი
ვერ გაარჩიოს მრისხანება სიკეთისაგან
და ეს კარგ ამბადაც კი გეჩვენება
იქამდე ვიდრე გაიზრდება შენი გოგო
გაიზრდება და ენდობა კაცებს
გულს რომ ატკენენ
ენდობა რადგან ის კაცები
სწორედ შენ გგვანან

– ქალიშვილების მამებს



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

სექსი მქონია მითხრა ქალმა
მაგრამ არ ვიცი როგორია
სიყვარულით მიეცე
ტკბობას

Scanned by CamScanner

ერთი წესი რომ მაინც მცოდნოდა
უსაფრთხოების
იქნებ არასდროს მივნდობოდი
უხილავ ხელებს



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

სექსი ორი ადამიანის შეთანხმებაა
თუ ერთი წევს და არაფერს აკეთებს
რადგან მზად არ არის
რადგან ხასიათზე არ არის
რადგან უბრალოდ სექსი არ უნდა
მეორეს კი სექსი აქვს მის სხეულთან
ამას ვერ დავარქმევთ სიყვარულს
ეს გაუპატიურებაა

Scanned by CamScanner

ყველაზე მძლავრი
სიყვარულის ნიჭია ჩვენში
და მაინც ვირჩევთ
შხამში ცხოვრებას

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

არსად მსმენია უფრო მცდარი შეხედულება
ვიდრე ისაა
რომ სახლს და ოჯახს მოსცხებს ჩირქს ქალი
რომელიც საფრთხეს აარიდებს
გულსა და სხეულს

Scanned by CamScanner

რუპი კაური

ფეხები
მიწას მიმილურსმე
შენი ტერფებით
და მიბრძანე
ავმდგარიყავი

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

გაუპატიურება
გშლის
ნაწილებად

მაგრამ
ვერ
გაქრობს

Scanned by CamScanner

სევდა ისეთ
კუნჭულებში ჩაგსახლებია
სადაც ყოფნის უფლება არ აქვს





Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ქალიშვილი
მამას არ უნდა ევედრებოდეს
სიყვარულის
მისცეს უფლება

Scanned by CamScanner

რუპი კაური



თავს ვირწმუნებ
რომ უფლება მაქვს
დავიკავო ჩემი ადგილი
და როგორლაც ეს დარწმუნება
ჩამოჰგავს წერას მარცხენა ხელით
როცა ცაციად არ გავჩენილვარ

– დამცრობის იდეა მემკვიდრეობითია

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

შენ მეუბნები რომ ჩუმად ვიყო
რადგანაც თურმე მაუშნოებს ჩემი აზრები
მაგრამ იცოდე არ გავჩენილვარ მუცლის ღრუში მოგიზგიზე
ცეცხლის ენებით
რომ ჩამანაცრო
და არც ისეთი სიმსუბუქით მიდნება ენა
რომ გადამყლაპო
გავჩნდი ასეთი
ვარ მოელვარე დანის პირი
ვარ მოშრიალე აბრეშუმი
ვერ დამივიწყებ
ვერც ფიქრებით წამომეწევი

Scanned by CamScanner

ქალს ისე შიგნავს
კაცი თითებით
თითქოს მწიფე ნესვს
შიგთავსს აცლიდეს



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

დედაშენს
ასე სჩვევია მუდამ
იმდენ სიყვარულს წამოგკიდებს
რომ წელში გაგტეხს

არსად ჩანს მამა

შენ კი ომი ხარ
საზღვარი ხარ ორ მიწას შორის
განტევების უტყვი ვაცი ხარ
პარადოქსი რომელიც ამ ორს აკავშირებს
და ყოფს კიდევაც

Scanned by CamScanner

დედის საშოდან რომ გავქრი უცებ
პირველად მაშინ გავუჩინარდი
უჩინმაჩინად გადაქცევა საკუთარ სახლში
სადაც ხიბლავთ ქალიშვილის უხილავობა
იყო მეორე
უჩინრად ქცევის ხელოვნება
არის მარტივი
როცა გეტყვიან *არავინ ხარ* წამსვე იჯერებ
და საკუთარ თავს უმეორებ
შელოცვასავით
რომ
არავინ ხარ
არავინ ხარ
არ ხარ არავინ
და უმეორებ ისე ხშირად
შენ ერთმა იცი
რომ თუკი დღემდე ცოცხალი ხარ
მხოლოდ გულმკერდზე ჩამოწოლილი
სიმძიმის გამო

– *უჩინრად ქცევის ხელოვნება*



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

პირწავარდნილი დედაშენი ხარ
    მგონი მშვენივრად ავითვისე მისი სინაზე
გამოგყოლია დედის თვალები
    ეს იმიტომ რომ ორივენი გადავიქანცეთ
და ეს ხელებიც
    ჰო დამჭკნარი თითებიც კი გვაერთიანებს
მაგრამ ეს ბრაზი მრისხანება მისი არ არის
    სიმართლეს ამბობთ
მრისხანება ერთადერთია
რითაც ასე ვგავარ მამაჩემს,

(ხოტბა ვორსონ შაიას *მემკვიდრეობას*)

Scanned by CamScanner

რუპი კაური

როცა პირს აღებს დედაჩემი
რომ საუბარი წამოიწყოს სადილობისას
მამა აჩუმებს ტუჩებს შორის
სჩრის სიტყვებს და ჭკუას არიგებს
რომ სავსე პირით ლაპარაკი არ შეიძლება
ჰო ქალებმა ჩემი ოჯახის
ასე ისწავლეს მოკუმული პირით ცხოვრება



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მუხლები ძალით
გაგვაშლევინეს
ბიძაშვილებმა
ბიძებმა
და სხვა კაცებმა
და ჩვენს სხეულებს
იმდენი მსგავსი შეხება ახსოვს
სიმშვიდით სავსე საწოლებშიც
არ გვტოვებს შიში

Scanned by CamScanner

მამა ყოველთვის რეკავ რომ განსაკუთრებული არაფერი მითხრა. მეკითხები როგორ ვარ და სად ვარ და როცა ჩვენ შორის სიჩუმე ისე ჩამოწვება როგორც მარადისობა მე თავგანწირვით ვიწყებ კითხვების ძებნას რათა როგორმე ჩვენი საუბარი გადავარჩინო. ყველაზე მეტად რისი თქმაც მინდა ის არის რომ მესმის სამყარომ გაგტეხა. რთული ცხოვრება გქონდა არ გადანაშაულებ რომ არ იცოდი როგორ მომქცეოდი კარგად. ზოგჯერ ღამეებს ვათენებ და ყველა იმ ადგილს ვიხსენებ სადაც მატკინე მაგრამ ეს არასოდეს შეგინიშნავს. მეც იმავე მტკივანი სისხლიდან მოვდივარ. იმავე ძვლებიდან სასოწარკვეთით რომ ითხოვენ ყურადღებას და ჩემ შიგნით იშლებიან. მე შენი შვილი ვარ. ვიცი რომ ეს მოკლე დიალოგი ერთადერთი გზაა რომ მითხრა როგორ გიყვარვარ რადგან ეს მოკლე დიალოგი ჩემთვისაც ერთადერთი გზაა შენდამი სიყვარულის გამოსახატავად.



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

სახნისივით შემოდიხარ ჩემში ორი თითით და მე
ძირითადად შოკირებული ვარ. თითქოს ღია ჭრილობაზე
მარილს მაყრიან. სულაც არ მომწონს. სულ უფრო და
უფრო სწრაფად მაწვები მაგრამ ვერაფერს ვგრძნობ.
შენ ჩემს სახეს ეძებ რომ რეაქცია დაინახო და მეც
ისე ვიქცევი როგორც შიშველი ქალები იმ ვიდეოებში
რომელსაც მაშინ უყურებ როცა გგონია რომ ვერავინ
გხედავს. მათ კვნესას ვიმეორებ. ცარიელს და მშიერს
მეკითხები კარგია თუ არა და დასწავლილივით სწრაფად
გპასუხობ რომ კი. ვთამაშობ.
შენ კი ვერაფერს ამჩნევ.

Scanned by CamScanner



ალკოჰოლიკი მშობლის ყოლა
დაახლოებით იგივეა
რაც იმავე
ალკოჰოლიკი მშობლის არყოლა

ასე უბრალოდ
იმ ადამიანის არარსებობა
რომელმაც ვერ შეძლო ეფხიზლა
სანამ შვილებს გაზრდიდა

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ვერ გეტყვით დედაჩემს
უყვარს მამაჩემი თუ ეშინია მისი
ისე ჰგავს ერთმანეთს
ეს შიში და ეს სიყვარული

Scanned by CamScanner

თავს გარიდებ როცა მეხები
მეშინია *ის* არ აღმოჩნდე



Scanned by CamScanner

სიყვარული

Scanned by CamScanner

დედაჩემი რომ მეორე შვილზე იყო ორსულად
ოთხის ვიყავი და ვათითებდი
გაბერილ მუცელს გაკვირვებული
ამ მოკლე დროში ასე სწრაფად როგორ გასუქდა
ერთხელაც მამამ შემომაჭდო ტოტებივით ხმელი მკლავები
და მითხრა რომ მაღალ ღმერთთან ყველაზე ახლოს
ქვეყნად არის ქალის სხეული რომელიც შობს ახალ სიცოცხლეს
და რადგანაც ზრდასრულმა კაცმა
ასეთ პატარას ყოვლისშემძლე სიტყვები მითხრა
შევიცვალე და დავინახე მთელი სამყარო
დედაჩემის ფერხთით გართხმული

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

თავს არ მანებებს
მტანჯველი ფიქრი
როგორ ხდება რომ
ადამიანი სულს
სისხლს და ძალას
გადაუსხამს სხვა ადამიანს
და სანაცვლოდ
არაფერს ითხოვს

– ალბათ იქამდე მომიწევს დაცდა ვიდრე დედა გავხდები

Scanned by CamScanner





არა
ეს არ იქნება
პირველი ნახვით
შეყვარება ეს იქნება შეყვარება
პირველი მოგონებით რადგან მე შენ
მინახავხარ დედაჩემის თვალებში როცა მთხოვა
ისეთ კაცზე დავქორწინდე რომელსაც მინდა ჩემი ვაჟი
დაემსგავსოს

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მისი ტუჩებით
იწყება და მთავრდება
ყველა რევოლუცია

Scanned by CamScanner

ვინა ვარ შენთვის მეკითხება
მშვიდად ვუწყობ კალთაში ხელებს
ვეჩურჩულები
შენ ხარ ჩემი ყველა იმედი
რაც ოდესმე განსხეულდა
ადამიანში



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ყველაზე მეტად რაც მიყვარს შენში – არის სურნელი
შენი სუნი
დედამიწის
მცენარეების
მიწიერი სამოთხეების
და არა მარტო –
ყველა ჩვენგანზე უფრო მეტად ადამიანის

Scanned by CamScanner

ვიცი
წვრილმანებს
აღარ უნდა გამოვეკიდო
მაგრამ ის ბიჭი თუ გინახავთ
ის ბიჭი
რომლის მუხლებთანაც
ყოველ ღამით
მზე ესვენება



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ხარ მკრთალი ხაზი
რწმენასა და
ბრმად ლოდინს შორის

– წერილი ჩემს მომავალ საყვარელს

Scanned by CamScanner

არაფერია უფრო სანდო თავშესაფარი
ვიდრე შენი ხმა
ხმამაღლა რომ კითხულობს ჩემთვის

– იდეალური დღე

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მისი ხელები
ჩემს გონებას მისწვდა იქამდე
სანამ ჩემს ტუჩებს
ანდა ჩემს წელს
ანდა ბარძაყებს
მას ჩემი ქება
სილამაზით არ დაუწყია
უნიკალური
ასე მიწოდა

– როგორ მეხება

Scanned by CamScanner

თანდათანობით
ვსწავლობ მის სიყვარულს
საკუთარი თავის სიყვარულით



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ამბობს

მაპატიე რომ არ ვარ მარტივი
რომ არაა მარტივი გინდოდე
გაოცებით ვუყურებ
ვინ თქვა რომ სიმარტივე მინდოდა
ვინ თქვა რომ სიმარტივეს ვეძებდი
სირთულე მიყვარს

Scanned by CamScanner

შენზე ყოველი გაფიქრებისას
ისე ვშლი ფეხებს
როგორც მოლბერტი თეთრი ტილოთი
საღებავებს მოწყურებული



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მზად ვარ მიგიღო
მე ამისთვის
სულ მზად ვიყავი

— პირველად

Scanned by CamScanner

რუპი კაური

სიცარიელის შესავსებად
შენ არ მინდიხარ
უფრო ის მინდა თვითონ ვიყო პირთამდე სავსე
ვიყო ისეთი სრულყოფილი
ქალაქს გასწვდეს ჩემი სინათლე
და მხოლოდ შემდეგ
გადაგეყარო
რადგანაც ჩვენ ორს შეგვიძლია
ცეცხლის ალში რომ გავხვიოთ
მთელი სამყარო



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ერთ დღეს შენთანაც მოვა სიყვარული
და როცა მოვა
გულში ჩაგიკრავს შენი სიყვარული
სახელს დაგიძახებს შენი სიყვარული
და შენც დადნები
მერე რა რომ
შენს სიყვარულს ტკივილიც მოაქვს
თუმც ეს არ უნდა
მთავარი ისაა რომ
არ გეთამაშება შენი სიყვარული
რადგან კარგად იცის რა მძიმე იყო ცხოვრება
მის გამოჩენამდე

Scanned by CamScanner

მოვიტყუები თუკი გეტყვი
მამუნჯებ-მეთქი
სინამდვილეში შენ ჩემს ენას ქანცს ისე აცლი
რომ ავიწყდება
როგორ უნდა ილაპარაკოს

Scanned by CamScanner

ის მეკითხება რას ვაკეთებ
და მეც ვპასუხობ რომ ვმუშაობ ერთ პატარა კომპანიაში
რომელიც ფუთავს
ის მოუთმენლად მაწყვეტინებს
არ მიკითხავს როგორ იხდი გადასახადებს
მხოლოდ მითხარი რა გაგიჟებს
ძილს რა გიტეხს შუაღამისას

ვწერ ვეუბნები
მთხოვს ვაჩვენო ჩემი ნაწერი
მეც ვეხები თითის წვერებით
მაჯას ვუსინჯავ
იდაყვისკენ მივიპარები
ბუსუსები ყალყზე უდგება
ვხედავ ტუჩები ეკუმება
სიმაგრეს ვგრძნობ მის კუნთების
და თვალებში მიძვრება მზერით
მათი ციმციმის უეცარი
მიზეზიც მე ვარ
თვალებს ვარიდებ
იხრება ჩემკენ
მე კი ამ დროს უკან ვდგამ ნაბიჯს

თურმე რა არის შენი საქმე
ყურადღების ასე მიქცევა
ვწითლდები
მორცხვად ვიღიმები
ეს არის ჩემი აღსარება
ჰო ასეთი ვარ

Scanned by CamScanner

'შენ შეიძლება არ იყავი ჩემი პირველი სიყვარული
მაგრამ ის გახდი
ვინც ყველა სხვა სიყვარული
უცებ აქცია არარაობად,



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ისე შემეხე
შეხება
არც დაგჭირვებია

Scanned by CamScanner

მითხარი ისე როგორ ანთებ
ჩემში ტყის ხანძარს
რომ ვიღვენთები
და ვიქცევი წყალუხვ მდინარედ



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ისეთი ჩანხარ თითქოს თაფლის სუნი გდიოდეს
და არა ტკენის
მიმიკარე უნდა გაგსინჯო

Scanned by CamScanner

შენი სახელი
ყველა ენაზე წარმოთქმული
ყველაზე ტკბილი
ყველაზე მწარე კონოტაცია
ან ცეცხლივით ამაბრიალებს
ან მიტოვებს უსაზღვრო ტკივილს



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობ
მეჩურჩულება
მე უკეთესი საქმე ვიცი შენი პირისთვის

Scanned by CamScanner

ეს შენი ხმაა
მე რომ მაშიშვლებს



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

შენი ენა ისე ტკბილად ამბობს ჩემს სახელს
როდესაც პირში მიტრიალებს

Scanned by CamScanner

ჩემს თმას
თითებზე რომ იხვევ და
ქვემოთკენ ქაჩავ
მაშინ იღვრება მელოდიად
ჩემი სხეული

– უვერტიურა



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ასეთ დღეებში
მჭირდება რომ ჩემ
გვერდით იყო
შენი თითები
ჩემს თმებში და
შენი ხმა
ნაზად მოლაპარაკე

— შენ

Scanned by CamScanner

ვეძებ შენს ხელებს
არა ხელებზე მოსაფერებლად
ვეძებ შენს ტუჩებს
არა ტუჩების დასაკოცნად
არამედ სულ სხვა ადგილების

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მჭირდება ვინმე
ვინც ჩემსავით ახლოს იცნობს
ტანჯვას და ბრძოლას
ვინმე
ვინც ფეხებს კალთით გამითბობს
აუტანლად მძიმე დღეებში
ადამიანი ვინც ყველაფერს რაც კი მჭირდება
იქამდე მომცემს
სანამ თავად მოვითხოვ ამას
საყვარელი ვინც მაშინაც გაიგებს ჩემსას
როდესაც ვდუმვარ
სწორედ ასეთ
გაგებას ვითხოვ

— როგორი საყვარელი მჭირდება

Scanned by CamScanner

ჩემსავე ხელებს
ამოძრავებ ჩემს ფეხებს შორის
მეჩურჩულები
დაე შენმა ნაზმა თითებმა ჩემთვის იცეკვონ

– სოლო წარმოდგენა



Scanned by CamScanner

ბევრს ვკამათობთ გაცილებით მეტს ვიდრე საჭიროა. ისეთ რამეებზე არც ერთს რომ არ გვანაღვლებს და გვამახსოვრდება უფრო დიდ კითხვის ნიშნებს სწორედ ასე ვარიდებთ თავს. იმის მაგივრად რომ ვიკითხოთ რატომ აღარ ვეუბნებით ერთმანეთს *მე შენ მიყვარხარ* ისევე ხშირად როგორც ადრე. ვჩხუბობთ წვრილმანებზე: ვინ უნდა ამდგარიყო უფრო ადრე და ვის უნდა ჩაექრო შუქი. ვის უნდა შეედგა ღუმელში გაყინული პიცა სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ. ერთმანეთს სუსტ წერტილებში ვურტყამთ. თითქოს თითებზე ეკლები გამოვისხით ძვირფასო. ვიცით სად უფრო მტკივნეულია.

დღეს ყველაფერი ცხვირწინ გვიდევს. როგორც მაშინ როცა ძილში სახელი აღმოგხდა რომელიც ზუსტად ვიცი ჩემი არ იყო. ან გასულ კვირაში როცა მითხარი რომ გვიანამდე უნდა გემუშავა. შენს სამსახურში დავრეკე და მითხრეს რომ უკვე რამდენიმე საათის წასული იყავი. სად გაატარე ის რამდენიმე საათი.

ვიცი. ვიცი. თუკი რამეს აქვს აზრი ქვეყნად შენს თავის მართლებებს. ცუდია მაგრამ ზოგჯერ თავს ვკარგავ და ვტირი. მაგრამ სხვას რას ელოდები პატარავ. მე შენ ისე საშინლად მიყვარხარ. ბოდიში რომ მეგონა მატყუებდი.

ასეთ დროს სასოწარკვეთილი სახეს ხელებში რგავ. თან მემუდარები რომ გავჩერდე. თან კი ამ ყველაფრით დაღლილს გული გერევა. ჩვენს პირის ღრუებში ჩაგუბებულმა შხამმა ლოყები ამოგვიწვა და გზა გაიკვალა. ახლა უფრო ნაკლებად ვგავართ ცოცხლებს ვიდრე ოდესმე. ფერიც გადაგვსვლია. მაგრამ მოდი ნუ იბავშვებ. ორივემ ვიცით რომ ჯერ კიდევ გინდა იატაკს მიმალურსმო.

განსაკუთრებით მაშინ როცა ისე ხმამაღლა ვყვირი რომ ჩვენი ჩხუბი მეზობლებს აღვიძებს. კართან მორბიან ჩვენს გადასარჩენად. არ გააღო ძვირფასო.

Scanned by CamScanner

სამაგიეროდ. დამაწვინე. რუკასავით გადამშალე. თითებით ყველა ის ადგილი გაკვალე სადაც ჯერ კიდევ გინდა რომ *****ნა. ისე მაკოცე თითქოს მიზიდულობის საყრდენი ცენტრი ვარ და ჩემში ისე ეშვები თითქოს ჩემი სული შენი სულის საყრდენი წერტილია. და როცა შენი პირი ეხება არა ჩემს პირს არამედ სხვა ორგანოებს. ფეხებს ვშლი. ჩვევაა. და სწორედ ამ დროს. ჩემში გიშვებ. კეთილი იყოს შენი შემოსვლა. სახლში.

მთელი ქუჩა ფანჯრებსაა მომდგარი. ვერავის გაუგია მთელი ეს აურზაური რამ გამოიწვია. სახანძრო მანქანები მოიჩქარიან ჩვენს საშველად. მაგრამ მეხანძრეები ვერ ხვდებიან ალი ჩვენმა სიბრაზემ გააჩინა თუ ვნებამ. ამ დროს ვიღიმი. თავს უკან ვაგდებ. სხეულს იმ მთასავით ვრკალავ რომლის დაპყრობაც გინდა. ამლოკე პატარავ.

ისეთი გრძნობაა თითქოს შენს ენას კითხვა შეუძლია მე კი შენი საყვარელი წიგნი ვარ. იპოვე სასურველი გვერდი ჩემს ფეხებს შორის და ფრთხილად ამოიკითხე. სრულყოფილად. ასო-ასო. ერთი სიტყვაც რომ გამოტოვო არ გაპატიებ. გპირდები ჩემი დასასრული მოგეწონება. როცა ჩემი წიგნის ბოლო სიტყვები გათავდება შენს პირში. როცა მორჩები. ჩამოჯექი. რადგან ახლა ჩემი ჯერია. ჩემი მუსიკის რომელსაც მიწას მიბჯენილი მუხლებით ვუკრავ.

ჩემო საყვარელო. ერთმანეთს ასე ვაცლით ენას. ასე ვძალავთ სიტყვებს. ასე ვლაპარაკობთ. ასე. ასე ვრიგდებით.

– როგორ ვრიგდებით

Scanned by CamScanner

მსხვრევა

Scanned by CamScanner



ასეთ ქაოსში
ჩემი ნებით
ვეშვები მუდამ
ნებას ვრთავ მითხრას
რომ ლამაზი ვარ
და ბოლომდე ვერ დამაჯეროს
თავად ვეშვები
და მგონია რომ ვარდნისას
წამომეწევა
უმალ დამიჭერს
ვარ უიმედო მეოცნებე
უიმედო შეყვარებული
ჩემი სიკვდილიც
ალბათ ეს არის

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

როდესაც დედა შეუბნება რომ უკეთესს ვიმსახურებ
კანიდან ვხტები ისე გიცავ ჩვევაა ესეც
ისევ ვუყვარვარ ვყვირი ხმაშაღლა
და მარცხი მოჩანს დედის თვალებში
მიყურებს როგორც ბავშვს უყურებს მშობელი მაშინ
როცა იცის მისი ტკივილი
მაგრამ მაინც ვერაფერს შველის
და ამბობს
ჩემთვის არაფრად ღირს ეს სიყვარული
თუ მის გამო ხელი არც კი გაუნძრევია

Scanned by CamScanner

ისე შორს მყავდი
შენი იქ ყოფნაც გადამავიწყდა

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

შენ თქვი. თუ ერთად ყოფნა გვიწერია. ბედისწერა დაგვაბრუნებს ერთმანეთთან. წამით ვეჭვდები თავს განგებ ხომ არ ისულელებ. ნუთუ მართლა გჯერა ბედისწერის. თითქოს ცაში ცხოვრობდეს და ვარსკვლავებიდან დაგვყურებდეს. თითქოს ხუთი თითი ჰქონდეს და ისე გვათამაშებდეს როგორც ჭადრაკის ფიგურებს. თითქოს თავად არ ვაკეთებდეთ არჩევანს. ვინ გასწავლა ეს. მითხარი. ვინ დაგაჯერა. რომ გული და გონება რომელიც მოგეცა შენი არაა. რომ შენს ცხოვრებას შენივე მოქმედება არ განსაზღვრავს. მინდა ხმამაღლა ვიყვირო *ჩვენ თავად ვწყვეტთ ყველაფერს. ერთმანეთთან დაბრუნებაც მხოლოდ საკუთარი ნებით შეგვიძლია.* მაგრამ მაინც ჩუმად ვზივარ. მკრთალად ვიღიმი და მთრთოლვარე ტუჩებით ვფიქრობ. ნუთუ ეს ტრაგედია არაა. რომ შენ ყველაფერს ნათლად ხედავ. ის მეორე კი ვერა.

Scanned by CamScanner

ტკბილი მწარეში
ნუ აგერევა
თუ მართლა უნდა
შენთან ყოფნა
იქნება კიდეც
ასე უბრალოდ



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მე შენ მიყვარხარ მხოლოდ მაშინ
გეჩურჩულება
როდესაც ხელებს
შენი ქამრისკენ
მიასრიალებს

აქ უნდა მიხვდე
თუ რამხელა განსხვავებაა
საჭიროებას და ნდომას შორის
იქნებ მხოლოდ გინდა ეს ბიჭი
და არ გჭირდება

Scanned by CamScanner

შენ იყავი მაცდუნებლად მშვენიერი
მაგრამ როცა მოგიახლოვდი
მომაგებე მხოლოდ ეკლები



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ქალი რომელიც ჩემს შემდეგ მოვა ჩემი უსახო ასლი
იქნება. ის ძალიან მოინდომებს და ეცდება შენი
ტუჩების ხაზებში აღბეჭდილ ჩემს ლექსებს თავისი
გადააწეროს მაგრამ მისი სტრიქონები ვერასოდეს
ჩაგცხებენ მუცელში ისე როგორც ჩემები. შემდეგ ეცდება
რომ შენს სხეულს მიუალერსოს. მაგრამ ვერასოდეს
მოგეფერება გაგლოკავს და მოგწოვს ჩემსავით. ის
სევდიანი დუბლიორი იქნება ქალისა რომელსაც შენ
ხელიდან დასხლტომის საშუალება მიეცი. ვერაფერი
რასაც ის გააკეთებს ვერ დაგაკმაყოფილებს რაც
შიგნიდან დაამსხვრევს მას. როცა ის დაიღლება იმ კაცის
გამო ტანჯვით რომლისგანაც სანაცვლოდ ვერაფერს
იღებს შენი ქუთუთოების ჩრდილში მე დამინახავს
მისკენ სიბრალულით მომზირალს და ეს საბოლოოდ
გაანადგურებს: ან როგორ უნდა უყვარდეს კაცი
რომელსაც სხვა უყვარს ის ვისაც ველარასდროს შეეხება.

Scanned by CamScanner

შემდეგში როცა
შავ ყავას მოსვამ
იმ დღეების გემოს შეიგრძნობ
როცა დაგტოვეს
თვალზე ცრემლიც კი მოგადგება
მაგრამ ყავის სმას
მაინც არ შეწყვეტ
რადგანაც გიჯობს
იმ დღეების ჩუმმა სიბნელემ აგავსოს ისევ
ვიდრე წარსულის მოგონებებს დაემშვიდობო

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ყველაზე მეტად რაც მსურს
შენი გადარჩენაა
ჩემი თავისგან

Scanned by CamScanner

იმდენი ღამე გაგთენებია
მისი კაცობით შენს ფეხებს შორის
მარტოობის მთელ სიმწარეს ველარც იხსენებ



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მეჩურჩულები
მე შენ მიყვარხარ
და ამით ამბობ
არ წახვიდე არ მიმატოვო

Scanned by CamScanner

ალბათ ესაა
სიყვარულის მთელი ამბავიც
ტუჩებს იქამდე გიმარინადებს
სანამ ერთ სიტყვას
არ შეარჩენს მხოლოდ
მის სახელს

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ალბათ გულს გატკენს ამის გაგება
შენი ყველაზე
მშვენიერი
სინანული ვარ

Scanned by CamScanner

იმიტომ კი არ მიგატოვე
რომ არ მიყვარდი
დაგტოვე რადგან
შენ გვერდით მყოფი
ჩემი თავი აღარ მიყვარდა



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

შენ კი არ უნდა მოანდომო
მას შენი თავი
ისე თავისით უნდა უნდოდე

Scanned by CamScanner



დიდი ქალაქი ხომ არ გეგონე
სადაც უქმეებს მხიარულად გაატარებდი
სულ პატარა ქალაქი ვარ სინამდვილეში
რომლის სახელიც არასოდეს გაგიგონია
გვერდი კი ბევრჯერ აუარე როცა მგზავრობდი
აქ თვალს არ მოგჭრის რეკლამის შუქი
ვერც ცათამბჯენებს ქანდაკებებს ვერ წააწყდები
მაგრამ აქ იცის ჭექა-ქუხილი
ისეთი მძლავრი რომ ხიდები მიცახცახებენ
არა ვარ გზაში ნაგდები ხორცი
სახლში მოხარშულ მურაბას ვგავარ
და ჩემზე ტკბილი არაფერი უგემია
დღემდე შენს ტუჩებს
ნურც პოლიციის მანქანის ფარებს ნუ შემადარებ
ბუხრის ცეცხლი ვარ
თვალებს რომ გწვავს
და მაინც რომ მიშტერებიხარ
ჩემი მხურვალე მშვენიერება
ალმურს აგადენს
ნურც სასტუმრო ნუ გეგონები რადგან სახლი ვარ
არა ვარ ვისკი გონებას რომ დაგაკარგვინებს
ის წყალი ვარ სულ რომ გჭირდება
ნუ მოხვალ ჩემთან უსაშველო მოლოდინებით
შენს კურორტად არ გამოვდგები

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

იგი ვინც ჩემთან შენ შემდეგ მოვა
კვლავ გამახსენებს
სიყვარულის უცნაურ სილბოს

მას ექნება გემო ლექსების
რომლების შეთხზვაც მინდოდა
და ვერ მოვახერხე

Scanned by CamScanner

თუკი
ენა მუდამ წინ უსწრებს
სხვა ქალების დასამცირებლად
როცა ისინი მასთან ერთად აღარ არიან
თუ მისი ენა
შხამით სავსეა
მან შეიძლება
ბაგეებს შორის მოგიმწყვდიოს
იყოს რბილი
თაფლივით ბლანტი
შაქარყინულით გამოგკვებოს
ვარდის წყალი გაპკუროს უხვად
მაგრამ იცოდე ვერაფერი
მას ვერ დაატკბობს

– თუ გინდა იცოდე როგორი კაცია

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მუზეუმი ვარ ჩემში მთელი ხელოვნებაა
შენ კი არაფრით თვალს არ ახელ რომ დამინახო

Scanned by CamScanner

რუპი კაური

უნდა გცოდნოდა
როგორ ცდებოდი
როცა თითებით
ჩემს წიაღში მოგზაურობდი
და თაფლს ეძებდი
თაფლს რომელიც ვერა და ვერ გამომადინე



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

იგი რაც გიღირს
ჩაბღაუჭებად
მაინც არასდროს გაგექცეოდა

Scanned by CamScanner

რუპი კაური

როცა ის მიდის
და დამსხვრეულს სულ მარტო გტოვებს
არასდროს ჰკითხო
რა არ ეყო რა ვერ მიეცი
უფრო პირიქით
ისე უხვად დაასაჩუქრე
რომ ვეღარ ზიდა

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

შენს მოჩვენებით უსაფრთხოებას
სიყვარულმა შეუქმნა საფრთხე

Scanned by CamScanner

მას რომ აშიშვლებ
მე მეძებ მაშინ
გთხოვ მაპატიო
რომ ასეთი გემრიელი ვარ
როცა სიყვარულს
მიეცემით თავდავიწყებით
შენს ტუჩებს მაინც
სულ უნებურად
ჩამოწყდება ჩემი სახელი

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ისე ექცევი ადამიანებს
თითქოს შენ გგავდნენ დიდსულოვნებით
მაგრამ იცოდე არავისა აქვს
შენსავით ჩვილი და ნაზი გული

შენ ვერ ხედავ ადამიანის
ჭეშმარიტ სახეს
და ხატავ იმას
რის ნახვასაც თვით ისურვებდი

გასცემ და გასცემ
ისინიც გწოვენ ყველაფერს რაც გაგაჩნია
რომ ცარიელი დაგტოვონ ბოლოს

Scanned by CamScanner

ვერ დავრჩებოდი
ისე დამღალა
იმის მოთმენამ
როგორც ცდილობდი
ნაკლულოვნად წარმოგეჩინე



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

არაფერი მიგრძნია ქვეყნად შენზე ლამაზი. და მტკიცედ მწამდა რომ ვერც ვერასდროს ვიგრძნობდი რამეს უფრო მშვენიერს. თუ იცი მაინც ეს როგორ მბოჭავს. ცოდნა იმის რომ გზის დასაწყისში შევხვდი ადამიანს რომელმაც ჩემი არსება შეძრა. როგორ უნდა გამეტარებინა დარჩენილი ცხოვრება მშვიდად. ფიქრით რომ ველური ნედლი თაფლი უკვე გავსინჯე და ყველაფერი რასაც მომავალში გავუგებდი გემოს ხელოვნური და რაფინირებული იქნებოდა. რომ ახალი აღარაფერი მოხდებოდა. რომ ვერც ერთი წელი რომელიც ჩამივლიდა შენზე დიდ სიტკბოს ვერ მომიტანდა.

– სიყალბე

Scanned by CamScanner

არ ვიცი რაა ზომიერება
სევდა რომ მიპყრობს
ცრემლს კი არ ვღვრი მორევს ვაყენებ
ხოლო როცა ბედნიერი ვარ
კი არ ვიღიმი თითქოს ვკაშკაშებ
და როცა ვბრაზობ
კი არ ვყვირი ალი მედება

ჩემს სიმძაფრეში მომხიბვლელი სწორედ ისაა
რომ ვინც მიყვარს ფრთებს ვასხამ ხოლმე
თუმცა რა მრჩება
ისწავლიან როგორც კი ფრენას
ჩემგან მიდიან
და სწორედ მაშინ უნდა მნახოთ
როცა ვრჩები გულგატეხილი
და კი არ ვგლოვობ
ნაწილებად ვიშლები თითქოს



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ამხელა გზა სულ იმისთვის გამოვიარე
რათა მეჩუქნა ეს ყველაფერი
შენ რომ ზედ არ უყურებ ახლა

Scanned by CamScanner

შევიწროებული
და
შემავიწროებელი

– ორივე ვყოფილვარ

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

გიშორებ
მინდა ამოგძირკვო ჩემი კანიდან

Scanned by CamScanner

სინამდვილეში შენ არ გკოცნიდი
– არ შეგეშალოს

მე მას ვკოცნიდი
შენი ტუჩები კი უბრალოდ იქვე აღმოჩნდა

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ის ყოველთვის უკან ბრუნდება
ძირმაგარები
ჩალურჯებები

გამონაყარი
ეს ის გზაა შენკენ რომ მოდის

Scanned by CamScanner

მე ვიყავი მუსიკა შენ კი
სმენა დაიხშე



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

დამჟავდა ენა
მონატრებით
ისე მომშივდი

Scanned by CamScanner

სულაც არ მინდა
ჩამაშენო შენს ცხოვრებაში
მიჯობს ორივემ
ავიშენოთ ცხოვრება ერთად

–განსხვავება



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მდინარეები ბაგეებს რომ დაედინება
ის ცრემლებია თვალებმა რომ ვერ დაიტიეს

Scanned by CamScanner

გველის ტყავი ხარ
მეც როგორღაც გიცვლი და გიცვლი
და ყოველ ჯერზე
კვლავ ივიწყებს ჩემი გონება
შენს სახის ნაკვთებს
შენი გაშვება
დავიწყებად ქცეულა უკვე
რაც ყველაზე კარგი რამაა
და ყველაზე ნაღვლიანი
რაც დამმართნია

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

შეცდომა მაშინ კი არ დაუშვი როცა დამტოვე
არამედ მაშინ როცა დაბრუნდი
როცა იფიქრე
რომ შეძლებდი მოსვლას ყოველთვის
როდესაც ჩემი სიყვარული დაგჭირდებოდა
და როგორც კი მოისურვებდი
ზურგს შემაქცევდი

Scanned by CamScanner

როგორღა ვწერო
თუკი ჩემი ორივე ხელი
მან თან წაიღო



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

არც ერთს არ გვეთქმის ბედნიერი
მაგრამ მაინც არ ვჩქარობთ წასვლას
ერთმანეთს ვაქცევთ ნამსხვრევებად
და ვეძახით ამას სიყვარულს

Scanned by CamScanner

რადგან დავიწყეთ
გულწრფელობით
მოდი ვეცადოთ
დავასრულოთ გულწრფელობითვე

– ჩვენ



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

„მხოლოდ შენი ხმის
გაგონებაც
ცრემლებით მავსებს“

Scanned by CamScanner

არ ვიცი რატომ ვაკეთებ ამას
სხვების გამო რად ვიხლიჩები
თუკი ჭრილობის ამოკერვა
შემდეგ ასეთი
მტკივნეულია



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ადამიანები მიდიან
მაგრამ ის თუ
როგორ წავიდნენ
ჩვენს გულში რჩება

Scanned by CamScanner

ნუ ვუწოდებთ სიყვარულს სასტიკს
სასტიკები ჩვენა ვართ თავად
ნუ ვუწოდებთ სიყვარულს თამაშს
თამაშად იგი ჩვენ ვაქციეთ
ჩვენივე ხელით



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ჩვენს სიყვარულს რა მოკლავს ნეტავ
თუკი ცოცხლობს
ამ ფურცლებს შორის

Scanned by CamScanner

თუნდაც ამდენი ტკივილის შემდეგ
შემდეგ ამდენი დანაკარგის
ამდენი დარდის
შენი სხეული
ერთადერთია
გაშიშვლება
ვის ჩრდილშიც მიყვარს

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

იმ ღამით როცა ჩემგან წახვედი
გამომელვიძა ნამსხვრევებად ვიყავ ქცეული
და ნამსხვრევების თავმოსაყრელად
ჩემი თვალის უპეები გამაჩნდა მხოლოდ

Scanned by CamScanner

დარჩი
მომწყდა ბაგეებიდან
როცა გახვედი
როცა ზურგს უკან კარი მძიმედ გაიჯახუნე



Scanned by CamScanner

დარწმუნებული ვარ აღარ ვგიჟდები შენზე.
იმდენად დარწმუნებული ვარ რომ ზოგჯერ
დილაობით ღიმილიანი სახით ვიღვიძებ და
ერთმანეთს შეტყუპებული ხელებით მადლობას
ვუხდი სამყაროს შენი ჩემგან განდევნისთვის.
მადლობა ღმერთს-მეთქი ვტირი.
მადლობა ღმერთს რომ წახვედი.
სხვა შემთხვევაში ის იმპერია არ ვიქნებოდი
რომელიც დღეს ვარ.

თუმცა

არის ღამეები როცა წარმოვიდგენ რას
ვიზამ უცებ რომ დაბრუნდე. რა მოხდება
აი ახლა ამ წამს ოთახში რომ შემოხვიდე.
ყველაფერი ცუდი რაც ჩაგიდენია უახლოესი
ფანჯრიდან აორთქლდება და ძველი
სიყვარული ახალი ძალით იფეთქებს. ისე
გადმოიღვრება ჩემი თვალებიდან თითქოს
არც არასოდეს გამკრთალებულა. თითქოს
უბრალოდ ვვარჯიშობდი ჩუმად ყოფნაში
რომ შენი მოსვლისას ასე ავხმაურებულიყავი.
ვინმე ხომ ვერ ამიხსნის ეს როგორ ხდება.
მაშინაც კი როცა სიყვარული მიდის. ის არ
გვტოვებს. მაშინაც კი როცა წარსულში ხარ.
სასოწარკვეთით გიბრუნდები.

Scanned by CamScanner

არ დაბრუნდება
მითხრა გონებამ
უნდა დაბრუნდეს
გულმა მწარედ ამოიკვნესა

– ჭკნობა

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

არ მინდა შენთან მეგობრობა
მთლიანად მსურხარ

– მეტი

Scanned by CamScanner

შენს ნაწილებს ისე ვკარგავ როგორც წამწამებს
შეუგრძნობლად ყველა კუთხეში



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

თუ ჩემგან წახვალ
ვერ გეყოლები
ორგან ვერ შევძლებ არსებობას
არ გაგიკვირდეს

– როცა მეკითხები შეგვიძლია თუ არა მეგობრებად დარჩენა

Scanned by CamScanner

წყალი ვარ

ისეთი კეთილი
შემიძლია გამოგაცოცხლო
ისეთი ავი
შემიძლია ჩაგახრჩო ჩემში



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ყველაზე მეტად ის მენატრება როგორც გიყვარდი. მაგრამ
თურმე არ ვიცოდი რომ შენი უზარმაზარი სიყვარული
პირდაპირ კავშირში იყო იმასთან თუ როგორი ვიყავი
მე თვითონ. შენ აირეკლავდი იმას რასაც მე გაძლევდი.
ყველაფერი მიბრუნდებოდა. როგორ ვერ ვხვდებოდი
ამას. როგორ. უბრალოდ ჩემთვის ვიჯექი გაჟღენთილი
ერთადერთი შეგრძნებით რომ შენსავით ვერავინ
შემიყვარებდა. როცა ეს სიყვარული თავადვე გასწავლე.
როცა თვითონ მიგითითე როგორ უნდა შეგეგრძნო.
როგორ უნდა შეგევსე. რა სასტიკად ვექცეოდი საკუთარ
თავს. ჩემივე გაცემული სითბოსთვის შენ გიხდიდი
მადლობას. მეგონა შენ მმატებდი ძალას. გონიერებას.
მშვენიერებას. რადგან უბრალოდ აღიარებდი ყველა
სიკეთეს რომელიც ჩემში არსებობდა. თითქოს შენთან
შეხვედრამდე ეს ყველაფერი არ გამაჩნდა. თითქოს
არაფერი დამრჩა როცა წახვედი.

Scanned by CamScanner

დამტოვე
მაგრამ თითქოს მაინც არსად წასულხარ
მითხარი ასე რატომ იქცევი
რატომ მიაგდე
ყველაფერი რაც არ გეთმობა
ან იქით რატომ მიისწრაფი
სადაც ყოფნა არ გიხარია
რატომ გგონია რომ არა უშავს
ერთდროულად თუ წახვალ და
თანაც დარჩები



Scanned by CamScanner

ეგოისტებზე მოგიყვები. მაშინაც კი როცა წინასწარ იციან რომ გული უნდა გატკინონ შენს ცხოვრებაში იჭრებიან და გემოს გისინჯავენ რადგან შენ ხარ ის ვისთვისაც გვერდის ავლა არ უღირთ. მეტისმეტად კაშკაშებ საიმისოდ რომ არ გაგსინჯონ. ახლოდან უნდა დაგათვალიერონ. და როცა ყველაფერს შეისწავლიან რაც გაგაჩნია თან მიაქვთ შენი კანი შენი თმა შენი საიდუმლოებები. როცა ხვდებიან რამდენად ნამდვილი ხარ. რამდენი ქარიშხალია შენში რომელიც მათ ანადგურებთ.

და აი აქ სიმხდალე იჩენს თავს. და ადამიანის სახე რომელსაც აქამდე ხედავდი მისი ნამდვილი სახით იცვლება. სევდიანი რეალობით. როცა ისინი ფარ-ხმალს ყრიან და საკუთარი უძვლო სხეული შენი ცხოვრებიდან გააქვთ სიტყვებით *ჩემზე უკეთესს იპოვი.*

იდგები შიშველი ჯერ კიდევ შენში შემონახული მათი ნაწილით და იგლოვებ. შეეკითხები ეს რატომ გააკეთეს. რატომ გაიძულეს გყვარებოდა თუკი სიყვარულის დაბრუნებას არ აპირებდნენ. ისინი კი რაღაც ასეთს ამოილულლულებენ *უნდა მეცადა. უნდა მომენდომებინა. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ შენ იყავი.*

მაგრამ ეს არ არის რომანტიკული. აქ არც სიტკბო უნდა ეძებო. მხოლოდ ფაქტია რომ ისინი ისე შთანთქა შენმა წიაღმა რომ მისი გარღვევა მოუხდათ რათა თავი გადაერჩინათ. მათთვის შენი არსებობა კი არ იყო მთავარი არამედ შენგან აღძრული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.

Scanned by CamScanner

ესაა სიმართლე ეგოისტების შესახებ. ისინი ადამიანებით თამაშობენ. ისინი თამაშობენ სხვების სულებით რათა საკუთარს მოუტანონ სიამოვნება. ერთ დღეს ისეთი სინაზით გეპყრობიან თითქოს შენ ხარ მთელი სამყარო რომელიც მათ კალთაში ასვენია. მეორე დღეს კი სრულიად მოულოდნელად ისე პატარავდები რომ ერთ კადრად იქცევი. წამიერ გაელვებად. წარსულის ნეგატივად. გადაგსანსლავენ და თან გეჩურჩულებიან რომ დარჩენილი ცხოვრების შენთან გატარება უნდათ. მაგრამ როგორც კი შიშის სუნი ეცემათ. თითქმის უკვე კართან არიან. ნერვები არ ჰყოფნით იმისთვის რომ ღირსეულად წავიდნენ. თითქოს ადამიანის გული მათთვის არაფერს წარმოადგენდეს.

და ამ ყველაფრის შემდეგ. ამდენის მიღების შემდეგ. ამდენი დაძაბულობის. განა ნაღვლიანი და სასაცილო არ არის რომ მათი თითები უფრო გაბედულები მაშინ არიან როცა გხდიან ვიდრე მაშინ როცა ტელეფონი უნდა აიღონ და დაგირეკონ. მოგიბოდიშონ. დანაკარგის გამო. და სწორედ ასე გკარგავენ.

– ეგოისტი

Scanned by CamScanner

ის რაც დაშორების შემდეგ უნდა მოიმოქმედო:

1. თავი საწოლს შეაფარე.
2. იტირე. სანამ ცრემლი არ დაგიშრება (ამისთვის რამდენიმე დღეა საჭირო).
3. არ მოუსმინო სევდიან მუსიკას.
4. წაშალე მისი ნომერი ტელეფონიდან მერე რა რომ შენი თითების ბალიშებს ის ისევ ახსოვს.
5. არ დაათვალიერო ძველი ფოტოები.
6. იპოვე უახლოესი სანაყინე და საკუთარი თავი პიტნიანი შოკოლადის ნაყინის ორი ბურთულით გაანებივრე. პიტნა გულს გაგიგრილებს. შოკოლადი კი ნამდვილად დაიმსახურე.
7. იყიდე ახალი თეთრეული საწოლისთვის.
8. შეაგროვე საჩუქრები მაისურები ერთი სიტყვით ყველაფერი რასაც მისი სუნი აქვს და საქველმოქმედო ორგანიზაციას ჩააბარე.
9. დაგეგმე მოგზაურობა.
10. სრულყავი ღიმილისა და თავის ქნევის ხელოვნება იმ შემთხვევებისთვის როცა ვინმე საუბარში მის სახელს ახსენებს.
11. დაიწყე ახალი პროექტი.
12. რაც უნდა ხდებოდეს. არ დაურეკო.
13. არ ითხოვო ის რისი შენარჩუნებაც არ ღირს.
14. რაღაც დროს შეწყვიტე ტირილი.
15. მიეცი ნება საკუთარ თავს სულელი ეგონო იმის გამო რომ ცხოვრების აწყობას ვიღაცის ფაშვში აპირებდი.
16. ისუნთქე.

Scanned by CamScanner

როგორც გტოვებენ
მათ შესახებ
ყველაფერს ამბობს
•

Scanned by CamScanner

გამთელება

Scanned by CamScanner

რუპი კაური

ვეჭვობ რომ კარგი
ვერაფერი დავიმსახურე
რადგან საზღაურს
ვიხდი ცოდვების
რომლებიც არც კი დამამახსოვრდა

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ვერ გამიგია რა მარგო წერამ
მიშველა თუ
უარესად გამანადგურა

Scanned by CamScanner

'მათი დევნით თავს ნუ დაიღლი
ვისაც შენთან ყოფნა არ უნდა,

– ძალით ვერავის შეინარჩუნებ



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ჯერ შენი თავი შეიყვარე
ვიდრე სხვასთან
გააბამ რომანს

Scanned by CamScanner

გაითავისე რომ უფრო მეტს იმსახურებ
ვიდრე შენი მტკივნეული სიყვარულია
ცხოვრება მიდის
და შენს გულსაც
ის გაამრთელებს
რომ მის დინებას ფეხი აუწყოს



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

რადგან ტკივილი
ნაწილია გამოცდილების
გაუღე კარი
არ შეგეშინდეს

– განვითარება

Scanned by CamScanner



მარტოობის შეგრძნება ნიშანია რომ სასოწარკვეთამდე
გჭირდება საკუთარი თავი

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ჩვევაა უკვე
მათ დაეყრდნო
ვისზეც ფიქრობ რომ
შეგივსებენ
სიცარიელეს

ვინც მოგატყუა
და დაგარწმუნა
რომ ერთმანეთის
ამოვსების უნარი აქვთ ადამიანებს
მათ ერთმანეთის ამოქოლვა იციან მხოლოდ

Scanned by CamScanner

იმათ ნუ შესთხოვ
გამთელებას
ვინც დაგამსხვრია



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

თუკი დაცემის
სისუსტე დაგყვა დაბადებისას
არ დაგავიწყდეს
რომ ადგომის ძალაც მოგეცა

Scanned by CamScanner

ალბათ ყველაზე სევდიანია
მათ როცა ველით
ვინც არც კი ვიცით
დაიბადა ქვეყნად თუ არა

– 7 მილიარდი ადამიანი

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

არ შეუშინდე ტკივილს
გამაგრდი
ყვავილებად აქციე იგი
შენ დამეხმარე
საკუთარი ტკივილისგან
მეზარდა ბაღი
ჰოდა აყვავდი
გინდა ლამაზად
გინდა საშიშად
თუ ასე გსურს ხმაურიანად
აყვავდი ნაზად
მოკლედ ისე როგორც გერჩიოს
ოღონდ აყვავდი

– მკითხველს

Scanned by CamScanner

მადლობელი ვარ
სამყაროსი
ყველაფრისთვის
რაც კი მომეცა
ყველაფრისთვის
რაც კი წამერთვა

– *წონასწორობა*

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

დიდი ნიჭი სჭირდება იმას
რომ სიკეთე შეინარჩუნო
როცა გარშემო მხოლოდ სისასტიკეა

Scanned by CamScanner

შეიყვარე
შენი
მარტოობა



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

სულ სხვადასხვა რამაა
როცა ვინმე გეუბნება
რომ უყვარხარ
და როცა ვინმეს
ნამდვილად უყვარხარ

Scanned by CamScanner

ხანდახან ხდება
მობოდიშებას
ვერ იღებ მაშინ
როცა გულით გსურს

და როცა იღებ
არც გჭირდება
და აღარც გინდა

– ძალიან დაგაგვიანდა



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

შენ მეუბნები
სხვა გოგოებს როგორ არ ვგავარ
თვალდახუჭული ჩემს ტუჩებს ეძებ
თუმც არის რაღაც შენს ნათქვამში –
სხვა ქალებთან არმსგავსებაზე
ჰო იმ ქალებთან ვისაც დებად მოვიხსენიებ
რაც მანდომებს შენი ენა გადმოვაფურთხო
თითქოს მავალებ ვამაყობდე რომ ამირჩიე
თითქოსდა შვებას უნდა მგვრიდეს
შენი ფიქრი რომ სხვებს ვჯობივარ

Scanned by CamScanner

შემდეგში როცა
ბიჭი შენს ფეხებს დახედავს და
მიგითითებს რომ
თმის ღერები ამოგეზარდა
შენც შეახსენე
თავისი სახლი არ ეგონოს
შენი სხეული
ის სტუმარია
ნურასოდეს გადააბიჯებს
შენს მასპინძლობას



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

იყო
ნაზი
ნიშნავს
იყო
ძლიერი

Scanned by CamScanner

შენ იმსახურებ
რომ არათუ ჩაიკარგო
შენს გარემომცველ სამყაროში
არამედ იქცე აღმოჩენად
ამ გარემოცვის



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ვიცი რთულია
დამიჯერე
გამეგება რა შეგრძნებაა
როცა გგონია
რომ არ მოვა ხვალინდელი დღე
და ვერც დღევანდელს გადააგორებ
მაგრამ ვფიცავ ეს დღეც გადავა
როგორც ხდება
წავა ტკივილიც
თუკი დროს მისცემ
თუკი წასვლის უფლებას მისცემ
მოდი გაუშვი
ნელა და მშვიდად
როგორც შეჰფერის
გატეხილ სიტყვას
მოდი გაუშვი

Scanned by CamScanner

რუპი კაური

მომწონს სტრიები ჩემს ბარძაყებზე
რომლებიც საშინლად ადამიანურია
მომწონს რომ ასეთი რბილები ვართ
თუმცა არც სიუხეშეს და სიველურეს ვუჩივით
როცა გვჭირდება
ყველაზე მეტად ის მომწონს მთელ ჩვენს ამბავში

როგორ შევიგრძნობთ
როგორ არ გვეშინია ტკივილის
როგორი სინაზით ვეპყრობით ჭრილობებს
მომწონს უბრალოდ ქალად ყოფნა
საკუთარი თავის ქალად ხსენება
ასე რომ სრულმყოფს
და მამთლიანებს



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მას რასაც სხვები სილამაზეს ეძახიან
მე ეჭვის თვალით შევცქერი მუდამ
რადგან ეს აღქმა გვერდზე ტოვებს ადამიანებს
თმის სილამაზეს მე მაშინ ვხედავ
როცა ქალისთვის ბაღია იგი
ამოზრდილი კანის მიწაზე
სილამაზეა ცხვირის ისე მოკაუჭება
თითქოს ზეცას უნდა მოედოს
და ღრუბელი თან წაიყოლოს
ანდა კანი იმ მიწის ფერი
წინაპრები თავთავს რომ მკიდნენ
იმ ქალთა მთელი თაობების გამოსაკვებად
ხეებივით მსხვილ თეძოებს რომ მიირხევდნენ
ნუშის თვალები
კითხვის ნიშნებით ამოვსებული
რადგან ძარღვებში ზვირთებად დამდის
პანჯაბის მთელი მდინარეები
არასდროს მითხრათ
რომ არ არიან ლამაზები ჩვენი ქალები
რომ არ არიან ისეთივე მშვენიერები
როგორც ის სხვები
თქვენი ქვეყნებიდან

Scanned by CamScanner

ჩვენი ზურგები
ჰყვებიან ისეთ ისტორიებს
რომლის ამწევი ხერხემალიც
არც ერთ წიგნს
არ აქვს

– ფერადი ქალები

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

უნდა მიიღო შენი თავი სწორედ ისეთი
როგორადაც სამყარომ შეგქმნა

Scanned by CamScanner

მუზეუმია შენი სხეული
სტიქიური უბედურების
შეგიძლია წარმოიდგინო
მთელი შენი
დიდებულება

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

შენი დაკარგვა
ჩემი თავის
პოვნა აღმოჩნდა

Scanned by CamScanner

სხვა ქალთა სხეულს
ჩვენი ბრძოლის ველად ნუ ვაქცევთ



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

თმის მოშორება სხეულიდან
ჩვეულებრივი ამბავია
თუკი მართლა შენ გინდა ასე
ისევე როგორც
თმის საერთოდ არმოშორება
მაშინ როცა
ასეთია შენი სურვილი

– მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნი

Scanned by CamScanner

ვატყობ მეთვლება უპატიებლად
ხალხში ხმამაღლა თუ ვახსენებ მენსტრუაციას
რადგანაც თურმე ბიოლოგია ჩემი სხეულის
მეტისმეტად რეალურია

მერე რა მოხდა თუკი ვივაჭრებთ
ფეხებს შორის რაცა გვაქვს იმით
მთავარია არსად წამოგვცდეს
ეს ყველაფერი როგორ მუშაობს

თქვენ ალბათ ფიქრობთ
ლამაზია ჩემი სხეული თუ გადაწყვეტთ აქ დასვენებას
თუმცა მისი ბუნება მაინც
აუტანლად გეუშნოებათ



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

იქამდე სანამ გიპოვიდა
და გეტყოდა რომ ფრენას შეძლებ
დრაკონი იყავი

დრაკონად დარჩები მაშინაც კი
თუ მიგატოვებს

Scanned by CamScanner

მე მინდა მოვუბოდიშო ყველა ქალს
რომელსაც ლამაზი ვუწოდე
სანამ ჭკვიანად ან მამაცად მოვიხსენიებდი
ვწუხვარ ისე გამომივიდა
თითქოს რაც დაგყვა დაბადებიდან
იყოს მთავარი სიამაყე იმ შემთხვევაშიც
თუ შენი სული მთებს შეეჭიდა
ვფიცავ დღეიდან სხვანაირად ვილაპარაკებ
რა ჭკვიანი ხარ ან *როგორი გამორჩეული*
არც გაიფიქრო რომ უარვყოფ შენს სილამაზეს
ბევრად მეტი ხარ მინდა იცოდე



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

რაცა მაქვს
მყოფნის
ბედნიერი ვარ

და რაც დავკარგე
ისიც მყოფნის
და ამითაც
ბედნიერი ვარ

– ხედვა

Scanned by CamScanner

რუპი კაური

მიყურებ ტირი
ყველაფერი მტკივაო ამბობ

გულში გიკრავ და გეუბნები
განიკურნები

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

თუკი ტკივილი მოდის
მოვა ბედნიერებაც

– მოითმინე

Scanned by CamScanner

ყველანი გავჩნდით
გასაოცრად მშვენიერები

თუმცა როგორლაც დავიჯერეთ
საპირისპირო
ტრაგედიაც სწორედ ეს არის

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

გვარმა კაურმა
თავისუფალ ქალად მაქცია
ის მხსნის ბორკილებს
შებოჭვას რომ ლამობდა ჩემსას
ფრთებს მასხამს და მივიწევ მაღლა
ვიცი ამქვეყნად ყველა კაცის თანასწორი ვარ
თუნდაც სამყარო წივილ-კივილით
ჩამაგონებდეს საპირისპიროს
ვიცი რომ მეც ვარ ერთი ქალი
თავის პატრონი
ჩემს თავს ვეკუთვნი
მთელი სამყარო ჩემ წინაშე
ქედს რიდით იხრის
თავისთან მიხმობს და შემახსენებს
ჩემს უზენაეს მოვალეობას
რომ ჩემს დობილებს ვემსახურო
ვზარდო ის ვინც გასაზრდელია
გვარი კაური სისხლთან ერთად ძარღვებში დამდის
ის იყო მანამ სანამ სიტყვა იარსებებდა
ის არის ჩემი სილაღე და თვითმყოფადობა

–კაური
სიკხი ქალი

Scanned by CamScanner



უზღვავ ტკივილს
გაძლევს სამყარო
რომელსაც ადნობ
და ოქროდ აქცევ

– ქვეყნად ამაზე წმინდა არაფერია

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

საკუთარი თავის სიყვარულით
სხვებს ასწავლი
როგორ უყვარდე

Scanned by CamScanner

ყველაზე მეტად მე ჩემს დებზე შემტკივა გული
ქალებისთვის მებრძოლ ქალებზე
როგორც ყვავილს გაზაფხულის გამოჩენაზე



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

შენს ფეხებს შორის სახლობს ქალღმერთი
რომელიც კაცებს პირს უწყლიანებს

Scanned by CamScanner

შენი თავის
სულიერი მეგობარი
შენ თვითონვე ხარ



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ზოგი ისეთი
ღვარძლიანია

იყავ მათ მიმართ
მეტისმეტად გულისხმიერი

Scanned by CamScanner

წინ წავალთ როცა აღმოვაჩენთ
რა გონიერი
რა საოცარი
ქალები გვყავს თურმე გარშემო



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

დანახვა ჩემი სილამაზის
შენგან არ ნიშნავს
რომ სილამაზე ჩემში არსებობს
ეს იმას ნიშნავს
რომ თავად შენში
არის იმხელა მშვენიერება
მხოლოდ მას ხედავ გარშემო ყველგან

Scanned by CamScanner

თმის არსებობა
საჭირო რომ არ ყოფილიყო
ჩვენი სხეული
თავიდანვე არ კვებავდა და არ გაზრდიდა

– ნუ ვებრძვით იმას რაც ყველაზე ბუნებრივია



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

სიყვარულია
რაც გვასწავლის ყველაზე მთავარს
დღის ბოლოს ხვდები
სინამდვილეში არაფერს ნიშნავს
არც ეს ფურცელი

რომ ჩასჯდომიხარ
არც იარლიყი
არც ფული და
არც სამსახური
რომ არაფერს არა აქვს აზრი
მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულს და ადამიანებს
რომლებიც გიყვარს
და მხოლოდ სიღრმეს სიყვარულის რაც გამოსცადე
მხოლოდ მათთან იდუმალ კავშირს
მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის გაზიარებას

Scanned by CamScanner

ისე ვინდომებ
რომ ოდნავაც არ ავცდე მიწას
ჩემი ცრემლები
ჩემი ხელები
ჩემი ფეხები
ჩავმარხე და მიწას მივანდე

– ფესვებგადგმული



Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

მიზეზის ძებნა
ერთ დღეს ალბათ შეწყვიტო უნდა
მიატოვო და გზა განაგრძო

Scanned by CamScanner

თუკი საკუთარ
თავს არ ჰყოფნი
სხვას რას ეყოფი

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

პირველ რიგში
უნდა გინდოდეს
მთელი ცხოვრების
გატარება
საკუთარ თავთან

Scanned by CamScanner

რუპი კაური

ცხადია ვეძებ წარმატებას
თუმცა არა ჩემი თავისთვის
არამედ ვცდილობ შეგროვებას
რძისა და თაფლის
ვინც გარშემო მყავს
უკლებლივ რომ გავუნაწილო

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ჩემივე გულის ბაგუნი მესმის
როცა ვფიქრობ ლექსის შობაზე
ალბათ ამიტომ არასოდეს არ დავიღლები
სტრიქონების მუცლით ტარებით
სიტყვებთან ალერსს
თავდავიწყებულს
შეუძლია ჩემი აღგზნება
ამიტომ ვფიქრობ
რომ წერაა
ჩემი მთავარი სიყვარული
ან კიდევ ლტოლვა
ან ორივე
ხომ ხდება ასეც

Scanned by CamScanner

მაგიჟებს შიში
შურისაგან დუჟმომდგარი ჩვენი ტუჩების
როცა სხვები წინ მიიწევენ
და შიში შვებით ამოსუნთქვის
როცა სხვების დაცემას ვხედავთ

ჩვენი ბრძოლა საკუთარ თავთან
ერთმანეთის წარმატებით რომ გავიხაროთ
ადამიანად დაბადების და დარჩენის
ყველაზე რთული ამოცანაა

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

სხვებს თუ არ მოსწონთ
რასაც შენ ქმნი
ეს არ არის მაინც მთავარი
მთავარი სხვაა
თუ მოსწონს შენს გულს
ანდა სული რას გეუბნება
საკუთარ თავს
ხომ არ ატყუებ
დაიმახსოვრე
გულწრფელობა
არასოდეს გადაცვალო
სიმარტივეზე

– ახალგაზრდა პოეტებს

Scanned by CamScanner

გაეცი მათთვის
ვისაც შენთვის მოსაცემად
არაფერი აქვს

– სევა (უანგარო მსახურება)

Scanned by CamScanner

რძე და თაფლი

ისე დამყავი ნაწილებად
ჩემს სულს შეეხე
დატოვე ჩემგან
კანშიშველი გულახდილობა
და წერა მაშინ მაიძულე
როცა მეგონა
ვერასოდეს ვეღარ შევძლებდი

– მადლობა

Scanned by CamScanner



Scanned by CamScanner

უკვე ბოლო გვერდზე ხარ. ჩემი გული შენს ხელშია. გმადლობ. აქამდე მშვიდობიანად მოსვლისთვის. ჩემს ყველაზე სათუთ ნაწილთან ფაქიზად მოქცევისთვის. ჩამოჯექი. ისუნთქე. დაღლილი იქნები. ნება მომეცი ხელები დაგიკოცნო. თვალებიც. ალბათ რაიმე ტკბილი ენდომებათ. მთელ ჩემს სიტკბოს გიგზავნი. უშენოდ არსად და არავინ არ ვიქნებოდი. შენ დამეხმარე შევმდგარიყავი სრულყოფილ ქალად. თუმცაღა ისე მეშინოდა სრულყოფილების. ნეტავ იცოდე მაინც როგორი საოცრება ხარ. რა საინტერესო გზა გამოიარე. და რა გელის წინ. გიჩოქებ. მადლობას გიხდი. შენს თვალებს სიყვარულს ვუძღვნი. დაე მათ ყოველთვის შეეძლოთ საუკეთესოს დანახვა ადამიანებში. დაე სიკეთის კეთების უნარმა არასოდეს დაგტოვოს. დაე ერთმანეთს ერთ არსებად აღვიქვამდეთ. დაე იმ ყველაფრის შეყვარება შევძლოთ რაც სამყაროს ჩვენთვის არ ენანება. დაე მუდამ მყარად ვიდგეთ მიწაზე. ფესვგადგმულები. მიწაში საიმედოდ ჩარგული ფეხებით.

– ჩემი სასიყვარულო წერილი შენ

Scanned by CamScanner

რუპი კაური პოეტი, მხატვარი და პერფორმერია. ხუთი წლის ასაკში დედამ ფუნჯი მისცა და უთხრა: „შენი გულისთქმა დახატე“. რუპი ჩვიდმეტი წლის იყო, როცა სრულიად შემთხვევით მოხვდა ადგილობრივ „ღია მიკროფონის“ საღამოზე, სადაც პირველად წაიკითხა თავისი ექსპრომტი. ვოტერლუს უნივერსიტეტში სწავლისას ის წერას განაგრძობდა. ხატავდა კიდეც. პირველი კრებული „რძე და თაფლი“ თავად გამოსცა. წიგნი საერთაშორისო მოვლენად იქცა. დღემდე წიგნის 3 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული. „რძე და თაფლი“ 35 ენაზე ითარგმნა და 100 კვირის განმავლობაში ზედიზედ ინარჩუნებდა „ნიუ-იორკ თაიმსის“ № 1 ბესტსელერის პოზიციას.

რუპის მეორე კრებული, „მზე და მისი ყვავილები“, რომელსაც მკითხველი დიდხანს ელოდა, 2017 წელს გამოიცა და მაშინვე № 1 საერთაშორისო ბესტსელერად იქცა. პირველი სამი თვის განმავლობაში მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა. წიგნმა მთელ მსოფლიოში მოიპოვა მკითხველის სიყვარული. რუპი „ფორბსის“ „30 წლამდე 30“-ის სიაშია. 2016 წელს მისი რედაქტორობით გამოვიდა „The Mays Literary Anthology“, რომელმაც ოქსფორდისა და კემბრიჯის ახალგაზრდა მწერლების ნამუშევრები გააერთიანა. რუპის BBC-ის მიერ დასახელებულ 100 ქალს შორისაც უჭირავს ადგილი.

– ავტორის შესახებ

Scanned by CamScanner

„რძე და თაფლი“
პოეტური კრებულია
სიყვარულის
დანაკარგის
ტრავმის
დამცირების
განკურნების
და ქალურობის შესახებ
ის ოთხ ნაწილადაა დაყოფილი
თითოეულ ნაწილს განსხვავებული მისია აქვს
თითოეული ნაწილი სხვადასხვა სენს კურნავს
სხვადასხვაგვარ გულისტკივილს წამლობს
„რძე და თაფლი“ მკითხველს
ცხოვრების ყველაზე მწარე მომენტებში ამოგზაურებს
და მათ შორის სიტკბოს პოვნაში ეხმარება
რადგან სიტკბო ყველგანაა
მთავარია მისი აღმოჩენა გინდოდეს

– წიგნის შესახებ

Scanned by CamScanner

ეს მოგზაურობა
პოეზიით გადარჩენის ამბავია
ეს სისხლი ოფლი და ცრემლია
ოცდაორ წელს რომ ვაგროვებდი
ეს ჩემი გულია
შენს ხელებში
ეს არის
ტკენა
სიყვარული
მსხვრევა
გამთელება

– რუპი კაური

Scanned by CamScanner